

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 102

23 სექტემბერი 2025 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

მოწვეული სტუმარი:

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო - გიორგი კობიაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (№11-01252622746 საკრ.№15-0325226279-03 19/09/2025; (№11-012526554371 საკრ.№15-03252669-03 23/09/2025)

2. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.131.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ.№15-032523959-03 27/08/2025)

3. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. საკრ.№12-032523421-03 22/08/2025

4. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ.№12-032525534-03 12/09/2025

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკრ.№12-032525533-03 12/09/2025

6. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032525535-03 12/09/2025

7. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე საკრ.№12-032526197-03 18/09/2025

8. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-032526197-03 18/09/2025

9. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.546) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032525535-03 12/09/2025

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე. საკრ. №12-0325261104-03 18/09/2025

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ. №12-0325261102-03 18/09/2025

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქუჩა N45, სართული 7, ბლოკი „ბ“- ში არსებული ბინა N39 ფართით: 65.70 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.039) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. საკრ. №12-032526196-03 18/09/2025

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/კ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების მოწონებისა და შპს „ბრბ სოლარის“ (ს/კ 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ. საკრ. №12-032526110-03 18/09/2025

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოსატყვამი კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან- შპს „ბლოქსი თავდადებულზე“- ს ს/ნ: 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე საკრ. №12-032526193-03 18/09/2025

15. ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N10-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.026.022) პირდაპირი განკარგვის წესით ინდივიდუალური მეწარმე ტექტიანა მამნიაშვილისთვის (ს/ნ: 306307706; უკრაინის მოქ. პასპორტი: FU667462, დაბ. 01.01.1982წ. / პ/ნ: 01601141783) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032526161-03 18/09/2025

16. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ: 405723766) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საკითხის შეთანხმების გადაცემის თაობაზე. საკრ. №12-032526190-03 18/09/2025

17. ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N31-ში არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ: 01024029477) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032526190-03 18/09/2025

18. ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.104) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ. №12-032526194-03 18/09/2025

19. ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N18 კორპუსის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.029.026) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა გურგენიძისთვის (პ/ნ 01024037482) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032526195-03 18/09/2025

20. „მისამართზე - ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. 4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.საკრ.№03-0325261108-03 18/09/2025

21. მისამართზე - ქ. თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ: N01.10.13.010.089) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.საკრ.№03-0325261106-03 18/09/2025

22. მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ: N01.17.12.003.255) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.საკრ.№03-0325261101-03 18/09/2025

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას მოხსენებით, რაიონული გამგეობების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სამუშაოების ვადაზე ადრე მოსალოდნელი შესრულების გამო იზრდება მესამე კვარტალის ასიგნებები შემდეგ პროგრამებში:

„გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 08) -220 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 10)-40000 ლარით

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი: 02 09 14) ქვეპროგრამაში- 556400 ლარით გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობის ღონისძიებაში დაგეგმილთან შედარებით დამატებით სამუშაოების განხორციელებისათვის.

თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ანაზღაურებასთან დაკავშირებით იზრდება „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (01 01 01)- 2 500 000 ლარით.

მცირდება:

„კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 10) -452 200 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11)- 100 000 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 19)- 818 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 09) 600 585 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 17)- 200 000 ლარით.

აღნიშნული გადანაწილება დაკავშირებულია ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში ლაღო ასათიანის ქუჩის #45-ის მიმდებარედ ქვათაცვენის საწინააღმდეგო ღონისძიების განხორციელებასთან.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების მიმდინარეობა დროში გაიწელა, ვინაიდან დაბალფასიანმა პრეტენდენტებმა ვერ შესძლეს ზოგ შემთხვევაში დოკუმენტების დაზუსტება, ერთ შემთხვევაში კი ფასწარმოქმნის დადასტურება. მიმდინარე სატენდერო პროცედურების გათვალისწინებით მე-3 კვარტალში დაგეგმილი სამუშაოები ვერ განხორციელდება. საჭიროა „თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში“(პროგ/კოდი 07 02 06 01) -მესამე კვარტალის ასიგნებებიდან 288 390 ლარის გადატანა მეოთხე კვარტალში.

მცირდება ასევე მეოთხე კვარტალის ასიგნებები 5 141000 ლარით „თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 07 02 06 10)

ვაკის რაიონის გამგეობას მიკუთვნებულ თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი: 07 02 06 05) ხდება როგორც მუხლობრივი, ასევე კვარტალური ცვლილება. საქონელი და მომსახურების მუხლში მესამე კვარტალში სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის დაგეგმილთან შედარებით საჭიროა დამატებით სამუშაოების განხორციელება რისთვისაც ესაჭიროებათ 154 440 ლარი. ამავე ქვეპროგრამაში, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი მესამე კვარტალში ხდება შემცირება 230 000 ლარით, ხოლო მეოთხე კვარტალში 22 160 ლარით, აღნიშნული გამოიწვია ვაკის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებისთვის სხვადასხვა სამუშაოების ჩასატარებლად, დეფექტური აქტების (ესკიზით), და სრული საპროექტო დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების შემცირებამ და N55 და N41 საჯარო

სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილი ინკლუზიური, დია ადაპტირებული ლიფტების მოწყობის პირველადი სავარაუდო ღირებულების შემცირებამ.

საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლის გეგმა მცირდება 4919885 ლარით, დაბალანსება ხდება შემოსავლების და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს გააცნო გიორგი კობიაშვილმა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.131.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი N20-ში, პირველ სართულზე არსებული 34.29 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.131.01.513) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა თამარ ხარაბაძეს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან.

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების I შესახვევი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.131.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში, მეორე სართულზე არსებული 21.50 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა ერთ პირს(ოჯახს) მოქალაქე დავით სუხიტაშვილისთვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, აღნიშნული პირი დაახლოებით 16 წელია, 2007 წლიდან უწყვეტად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 3 პირს (3 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, თუა ნარმანიას მიერ დაკავებული ფართი - 48.08 კვ.მ, ნანა გელაშვილის მიერ დაკავებული ფართი - 82.66 კვ.მ, და ზურაბ კახოშვილის მიერ დაკავებული ფართი - 22.90 კვ.მ.

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 153.64 კვ.მ ფართი

შსს-ს და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ეს ოჯახები წლების განმავლობაში 2016-2017 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, 2021 წლის 10 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და **შპს არომას (ს/კ: 245599990)** შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 1000 (ათასი) კვ.მ-ს.

ხელშეკრულების 3.7. პუნქტის მიხედვით, „კომპანია ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადაში“.

არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის ბრძანების საფუძველზე გაიცა აღნიშნული მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 12 აპრილიდან 2024 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი. ამასთან, შეთანხმებულ პროექტში განხორციელდა რამოდენიმე ცვლილება და ბოლო შეტანილი ცვლილების შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის შესაბამისად მშენებლობის ვადა განისაზღვრა 04/04/2024 წლიდან 04/07/2025 წლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ 2025 წლის 28 ივლისის და 2025 წლის 7 აგვისტოს განცხადებებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ვადის გახანგრძლივება არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება მათგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. კერძოდ, კომპანია აღნიშნავს, რომ ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე, ცალმხრივად შეწყდა ყოფილი N619 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის (მოქ. მარიამ მინაძე) მიმართ გაფორმებული ზემოხსენებული ხელშეკრულება და შესაბამისი ინდივიდუალური ფართის მიმღებ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

არქიტექტურის სამსახურს კომპანიამ მიმართა 2025 წლის 13 ივნისს (მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ/მოქმედ ვადაში), განცხადებით და მოითხოვა შეთანხმებული პროექტის კორექტირება - ვინაიდან საცხოვრებელ სართულებზე მცირედით შეიცვალა ფართები; +25.80 ნიშნულზე დაემატა ორი ბინა/შეიცვალა „ა“ ტიპის ბინების მდებარეობა და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანიის განმარტებით ამ ეტაპზე დარჩენილია ფასადისა და ეზოს მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ამასთან, მშენებლობის დასრულება არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში ვერ განხორციელდა რიგი კომპანიისგან დამოუკიდებელი და დაუძლეველი გარემოებების გამო, რაშიც მოიაზრება თითქმის ორწლიანი სასამართლო დავა ამხანაგობა „სავანესათან“, რომელიც ითხოვდა ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სააგენტოსა და არქიტექტურის სამსახურის) გაუქმებას. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დათქმულ ვადებში შესრულება გახდა შეუძლებელი და შესაბამისად, მოთხოვნილია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული მშენებლობის დასრულების ვადის გადაწევა და არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განსაზღვრა. ამასთანავე, კომპანიას განესაზღვრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1(ერთ)ლარად გადაეცემა საკუთრებაში 4 პირს(ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ფართებს.

თეა ალაფაშვილს გადაეცემა 88,94 კვმ; იაშუე ქობალიას გადაეცემა 126,66 კვმ, ივანე ჭელიშვილის გადაეცემა 48,45 კვმ და ლია ხომასურიძეს გადაეცემა 83,83 კვმ და 40,68კვმ.

საერთო ჯამში 4 პირს (ოჯახს) გადაეცემა 388,56კვმ.

შსს გასაუბრების ოქმებით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით აღნიშნული პირები დიდი ხანია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N8დ-ში, მე-4 სართულზე არსებული ბინა N47-ი ფართით 18,60 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.047) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა ანა მახალდიანს სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, აღნიშნული პირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს მითითებულ ფართში.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონში, კორპუს N35-ში პირველ სართულზე (შენობა N2) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართით 48,44 კვ.მ-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლელა ბაკაშვილს, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, აღნიშნული პირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს მითითებული ფართით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.546) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ვინაიდან, N01.14.16.008.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის წერილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N715 განკარგულებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონში, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცა ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათი უფლებამონაცვლებს. მათ შორის დავით ნადირაძეს (პ/ნ: 01010017991) გადაეცა 84,94 კვ. მ (ს/კ: 01.14.16.008.017.02.546) და 48,44 კვ.მ (ს/კ: 01.14.16.008.017.02.500) ფართი. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე გამოვლინდა, რომ დავით ნადირაძე (პ/ნ: 01010017991) ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) ფლობს მხოლოდ ერთ საკადასტრო ერთეულს (ს/კ: N01.14.16.008.017.02.546). გამომდინარე აქედან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დანართი N1-ის მე-8 ნომრად გათვალისწინებულ პირს - დავით ნადირაძესა და სააგენტოს შორის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება არ გაფორმდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულება დანართი N1-ის მე-8 ნომრად გათვალისწინებული პირის - დავით ნადირაძისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის

ნაწილში. გარდა ამისა, ამავე განკარგულების მე-3 მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი 35-ში, სართული 1, შენობა N2-ში არსებული 84,94 კვ.მ ფართის (ს/კ: N 01.14.16.008.017.02.546) უძრავი ქონების დავით ნადირაძისთვის (პ/ნ: 01010017991) საკუთრებაში გადაცემის საკითხი, სიმბოლური საპრივატიზებო ღირებულებით - 1 (ერთი) ლარად.

მომხრე-7

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2231.2519 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.02.546) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/ნ: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს, 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება.

ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

უზრუნველყოს ყოველწლიური საიჯარო ქირის 501 306.80 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი);

არაუგვიანეს 2025 წლის 19 ივნისისა, უზრუნველყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება (ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტი);

ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნული ვადის დამატებით 2 (ორი) თვით გაგრძელების შესაძლებლობას, მოიჯარის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით. ეს უფლება მოიჯარის მიერ გამოყენებულია და სააგენტოს შესაბამისი თანხმობით, შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2025 წლის 19 აგვისტო.

არაუგვიანეს 2025 წლის 19 ოქტომბრისა დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფა (ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტი);

არაუგვიანეს 2025 წლის 29 დეკემბრისა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ჟ. შარტავას №7-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ავტომობილისთვის განკუთვნილ პირველივე საპარკინგე სივრცეში ერთი ერთეული დამტენის საკუთარი ხარჯებით განთავსება და დამოუკიდებლად ფუნქციონირებად მდგომარეობაში მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოს საკუთრებაში გადაცემა (ხელშეკრულების 4.2 პუნქტი).

მოიჯარის მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია დამტენების განთავსების თაობაზე შესაბამისი განცხადებები (შეტყობინებები I კლასის მშენებლობაზე) და მოპოვებულია შესაბამისი თანხმობები. პრობლემურია №01.17.01.010.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საიჯარო ქონება, რომელიც საჭიროებს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებას ან ლოკაციის ცვლილებას.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანია სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებით აღნიშნავს, რიგ შემთხვევებში, ვერ იღებს თანხმობას ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის საჭირო მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან ან/და შესაბამისი გამგეობიდან: პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები

და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;

ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთმა სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს მწვანე საფარის დაზიანება, ზოგიერთ შემთხვევაში, მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით - მიმდინარეობს შესაბამისი ალტერნატიული პროექტების დაგეგმვა/განხილვა; რიგ შემთხვევებში, პრობლემას წარმოადგენს ტროტუარზე ძაღოვანი კარადის/ალრიცხვის კვანძის მოწყობა, რაზეც ლიცენზიანტი ვერ იღებს შესაბამის თანხმობებს/ნებართვებს და ამისათვის სჭირდება დამატებითი ვადები ალტერნატიული ლოკაციის მოძებნისა და პროექტის ხელახლა დამუშავებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და კომპანიის 2025 წლის 16 სექტემბრის წერილობითი მოთხოვნის გათვალისწინებით, დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა.

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის ხელშეკრულებაში და დამტენების განთავსებისათვის გათვალისწინებული ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრამდე (2025 წლის 19 ოქტომბრიდან), ხოლო შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრამდე (2025 წლის 19 აგვისტოდან). ამასთან, ვინაიდან აღნიშნული ვადების ცვლილება გამოწვეულია მოიჯარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მოიჯარეს არ დაეკისრება შესაბამისი ნებართვების მოპოვების თაობაზე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების 7.2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (თითოეულ დამტენთან მიმართებით 100 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე).

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია.

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ და დამტენების განთავსებისათვის გათვალისწინებული ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრამდე (2025 წლის 19 ოქტომბრიდან), ხოლო შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრამდე (2025 წლის 19 აგვისტოდან). მიზანშეწონილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების თანდართული შეთანხმების პროექტის შესაბამისად ცვლილება და მოიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს არ დაკისრება.

ამ შემთხვევაშიც, ვინაიდან აღნიშნული ვადების ცვლილება გამოწვეულია მოიჯარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მოიჯარეს არ დაეკისრება შესაბამისი ნებართვების მოპოვების თაობაზე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების 7.2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (თითოეულ დამტენთან მიმართებით 100 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე).

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქუჩა N45, სართული 7, ბლოკი „ბ“- ში არსებული ბინა N39 ფართით: 65.70 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.039) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, 2021 წლის 28 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს დაგანმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „საბა ქონსტრაქშენს“ შორის 2020 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს ზღვის უბნის პარკის მოწყობის სამუშაოები, სადაც ფიქსირდება კერძო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გადის საპროექტო სასაფარი და ველო ბილიკები. შესაბამისად, პარკის მშენებლობის პროექტის შეუფერხებლად განხორციელებისთვის მიზანშეწონილია აღნიშნული ტერიტორიების მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნება და პარკის საზღვრებში მოქცევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ითხოვა აღნიშნული საკუთრების ადგილმონაცვლეობისთვის საჭირო პროცედურების დაწყება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ 2024 წლის 2 ოქტომბრის და 2025 წლის 4 ივლისის წერილებით N01.12.02.024.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების თანამესაკუთრებს შესთავაზა არსებითად მსგავსი ღირებულების, ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქუჩა N45, სართული 7, ბლოკი „ბ“- ში არსებული ბინა N39 ფართით: 65.70 კვ.მ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ N01.19.39.029.046.01.02.039). სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საკადასტრო კოდებზე N01.12.02.024.010 და N01.19.39.029.046.01.02.039 დადგენილ საბაზრო ღირებულებების მიხედვით, ევგენია დალუნდარიძის და გიორგი დალუნდარიძის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება აღემატება 306 ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, თუმცა თანამესაკუთრების წერილის თანახმად ფასთა შორის სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებათ არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის N25.1523.1742 განკარგულებით საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქუჩა N45, სართული 7, ბლოკი „ბ“- ში არსებული ბინა N39 ფართით: 65.70 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.039) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/კ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების მოწონებისა და შპს „ბრბ სოლარის“ (ს/კ 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს, 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე არანაკლებ 30 კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: უზრუნველყოს ყოველწლიური საიჯარო ქირის 510 000.00 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი); არაუგვიანეს 2025 წლის 19 ივნისისა, უზრუნველყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის ლიცენზიანტთან შეთანხმება (ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტი); ხელშეკრულება ითვალისწინებს აღნიშნული ვადის დამატებით 2 (ორი) თვით გაგრძელების შესაძლებლობას, მოიჯარის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით. ეს უფლება მოიჯარის მიერ გამოყენებულია და სააგენტოს შესაბამისი თანხმობით, შესაბამისი ნებართვების/თანხმობების მოპოვების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2025 წლის 19 აგვისტო. მოიჯარის

მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია დამტენების განთავსების თაობაზე შესაბამისი განცხადებები (შეტყობინებები I კლასის მშენებლობაზე) და მოპოვებულია შესაბამისი თანხმობები. რაც შეეხება დამტენამდე ელექტროენერგიის მიყვანას, აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი“,) შესაბამისი განცხადებებით. ამ განცხადებების განხილვის ეტაპზე, საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ლიცენზიანტის/მისი ქვეკონტრაქტორის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში შესათანხმებლად წარმოდგენილია შესაბამისი განცხადებები. აღნიშნული განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანადა შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების/ თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ცვლილება შედის ხელშეკრულებაში და დამტენების განთავსებისათვის გათვალისწინებული ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრამდე (2025 წლის 19 ოქტომბრიდან), ხოლო შესაბამისი ნებართვების/ თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრამდე (2025 წლის 19 აგვისტოდან). ამასთან, ვინაიდან აღნიშნული ვადების ცვლილება გამოწვეულია მოიჯარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მოიჯარეს არ დაეკისრება შესაბამისი ნებართვების მოპოვების თაობაზე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების 7.2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/კ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №გ-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების მოწონებისა და შპს „ბრბ სოლარის“ (ს/კ 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან- შპს „ბლოქსი თავდადებულზე“- ს ს/ნ: 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, 2021 წლის 15 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი გრუპს“ შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად კოოპერატივის წევრებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 6600 კვ. მ-ის ოდენობით, საიდანაც 600 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 6000 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს. (ხელშეკრულების 3.3. პუნქტი) ხელშეკრულების მიხედვით, „კომპანია ვალდებულია შენობა-

ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ვადა არ მოიცავს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას.“ (ხელშეკრულების 3.6. პუნქტი). ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. ამავე ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით (1 500 (ათას ხუთასი) ლარით) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ბლოქსი თავდადებულის“ მიერ მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, 2023 წლის 18 დეკემბერს წარდგენილ იქნა განცხადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, თუმცა ამავე სამსახურის მიერ დღეის მდგომარეობით, არ არის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და შესაბამისად, არ არის მოპოვებული მშენებლობის ნებართვა, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად, შპს „ბლოქსი თავდადებულს“ 2023 წლის 31 დეკემბრიდან ერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა - 627, პირგასამტეხლოს ჯამური რაოდენობა - 940 500 ლარი). შპს „ბლოქსი თავდადებულზე“-ს მიერ 2025 წლის 12 აგვისტოს განცხადებით წარმოდგენილი განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება კომპანიისაგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რომ ტერიტორიის ნაწილს თვითნებურად ფლობს რამდენიმე მოქალაქე: ნინო ქავშინაძე – 360 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი; ვალია ზუბიაშვილი – 395 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი; პავლე ნოზაძე – 1320 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი და გომელი ურიდია – 407 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ მოქალაქეებს მითითებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე განთავსებული აქვთ სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც ცალსახად ხელშემშლელი ფაქტორია კომპანიისთვის სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო წინასაპროექტო/საპროექტო სამუშაოების წარმოების დროს. ხსენებული პირების მიერ სხვადასხვა დროს მიმართულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისადმი, მათ მიერ დაკავებული/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარების უფლების მოთხოვნით. თუმცა, აღიარების კომისიის მიერ მათ უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღიარების კომისიის შესაბამისი განკარგულებები ხსენებული პირების მიერ გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლო დავები, დღეის მდგომარეობით, დასრულებული არ არის და კომპანიას არ მიეცა შესაძლებლობა დაეწყო პროექტირების პროცესი.

პროექტი არის საკმაოდ დიდი მოცულობის, ამასთან, სირთულეს წარმოადგენდა კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ბინების ზუსტი ფართობის ანგარიში და გეგმარების მომზადება, აქედან გამომდინარე, მხოლოდ პროექტირების პროცესისთვის 3 თვე იყო საჭირო, რაც შესაბამისად აისახებოდა საბოლოო ვადაზე. გარდა ამისა, პროექტირების დასაწყებად საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის არსებობა, როგორიცაა ტოპოგრაფიული გეგმა, გეოლოგია, ხეების ხარისხობრივი შეფასება და სხვა. აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადება საჭიროებს ადგილზე ვიზიტს, რაც მოცემულ შემთხვევაში შეფერხდა ტერიტორიის თვითნებურად დაკავების გამო. ასევე, კომპანიის მიერ წარმოებულ იქნა მოლაპარკებები დავის დასრულებისა და სასამართლო დავების პრევენციის მიზნით, რომ ტერიტორია მალე გათავისუფლებულიყო და დაწყებულიყო სამშენებლო პროცედურები. 2023 წლის 18 დეკემბრიდან დაახლოებით ერთ წელიწადში კომპანიამ მოახერხა არქიტექტურული ხარვეზების შევსება, თუმცა ვინაიდან კოოპერატივის წევრები ითხოვდნენ ბინის გადაცემას, სააგენტოს ჩართულობის გარეშე, უშუალოდ კოოპერატივების წევრებთან შეთანხმდა ამავე ტერიტორიაზე ახლოსმდებარე შეთანხმებულ და მშენებარე კორპუსში ბინების გადაცემა, მოცემულ საპროექტო ტერიტორიაზე

ბინების გადაცემის სანაცვლოდ. შესაბამისად, 2024 წლის იანვარში განხორციელდა კოოპერატივის წევრების სრულად გადაყვანა სხვა პროექტში, რის შედეგადაც საჭირო გახდა ს/კ 01.10.06.002.078 მიწის ნაკვეთზე შესათანხმებელი პროექტის გეგმარების ცვლილება, რასაც დამატებით 2 (ორი) თვე დასჭირდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ტერიტორიის ნაწილის რეგისტრაციის თაობაზე, კერძო პირის მიერ წარდგენილი სარჩელისა და შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე დარეგისტრდა აკრძალვა მიწის ნაკვეთის განკარგვაზე, აღნიშნული პირის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ნაწილში (360 კვ.მ), რამაც შეაფერხა კომპანიისთვის მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის განსახორციელებელი ქმედებების განხორციელების პროცესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, აღნიშნული პროექტი არის სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებში ხორციელდება კოოპერატივის წევრთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რაც მუნიციპალიტეტისთვის/სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული საკითხია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2. ქვეპუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ნაწილობრივ, 676 500 (ექვსას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“-ს (ს/ნ: 405626997) გათავისუფლება იმ პირობით, რომ შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ (ს/ნ: 40562699792) 264 000 ლარს გადაიხდის არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ: 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ: 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან- შპს „ბლოქსი თავდადებულზე“- ს ს/ნ: 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N10-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.026.022) პირდაპირი განკარგვის წესით ინდივიდუალური მეწარმე ტეტიანა მამნიაშვილისთვის (ს/ნ: 306307706; უკრაინის მოქ. პასპორტი: FU667462, დაბ. 01.01.1982წ. / პ/ნ: 01601141783) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N10-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N 01.18.03.026.005) მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაცემა ტეტიანა მამნიაშვილს, ღია კაფეს მოსაწყობად. განმცხადებელი იჯარით ფლობს აღნიშნულ შენობაში არსებულ ფართს, 01.04.2028წ-მდე ვადით.

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს . გადაწყვეტილება , რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 9 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს. ამასთან, საბჭოს რეკომენდაციით, საიჯარო ტერიტორიის სიგანე უნდა განისაზღვროს 2 მეტრით (განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის ტერიტორია განსაზღვრული იყო 2.82 მ სიგანით).

აღნიშნული ორგანოს პოზიციის გათვალისწინებით, განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია, შემცირებული ფართობით - 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოთხოვნით, 2 მ სიგანით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური მეწარმე ტეტიანა მამნიაშვილის იჯარით გადაცემას, 01.04.2028წ-მდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2100 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N10-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.026.022) პირდაპირი განკარგვის წესით ინდივიდუალური მეწარმე ტეტიანა მამნიაშვილისთვის (ს/ნ:

306307706; უკრაინის მოქ. პასპორტი: FU667462, დაბ. 01.01.1982წ. / პ/ნ: 01601141783) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ: 405723766) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საკითხის შეთანხმების გადაცემის თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „აპ 24“-ის (ს/ნ: 405723766) დირექტორმა განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „აპ 24-ის“ (ს/ნ: 405723766) სარგებლობაშია ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა N2-ში, NO1.15.04.020.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 799.5 კვ.მ ფართიდან 403.5 კვ.მ ფართი.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, გიორგი ფხოვის ქუჩაზე არსებული არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად სააგენტო არ არის წინააღმდეგი შპს „აპ 24-ის“ (ს/ნ: 405723766) დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მითითებით, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ: 405723766) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 17 700 ლარით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ: 405723766) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საკითხის შეთანხმების გადაცემის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N31-ში არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ: 01024029477) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ვახტანგ ყაველაშვილს (პ/ნ: 01024029477) იჯარით სარგებლობის უფლებით გადაეცემა ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირი N31-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.15.018.015) და 1 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.15.018.023) კიბის ფუნქციონირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მას აღნიშნული უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით ჰქონდა გადაცემული 2008 წლიდან მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: N01.10.15.018.007.01.002) შესასვლელი კიბის მოწყობის მიზნით. სააგენტოს მიერ აღნიშნული საკადასტრო კოდები გაერთიანდა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა N01.10.15.018.083 საკადასტრო კოდით. ამასთან, განმცხადებელმა წერილით თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის გადახდაზე და გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდაზე.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, კიბის ფუნქციონირების მიზნით, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N31-ში არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.018.083) პირდაპირი განკარგვის წესით, ვახტანგ ყაველაშვილისთვის (პ/ნ: 01024029477) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.104) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქ. N28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.104) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა კონსტანტინე ხიდირბეგიშვილს. აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქ. N30-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.028).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის კიბის მოწყობის წინააღმდეგი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მოთხოვნილი 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 144 (ას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით, რაც მისაღებად მიიჩნია კონსტანტინე ხიდირბეგიშვილმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 144 (ას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.104) 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N18 კორპუსის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.029.026) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა გურგენიძისთვის (პ/ნ 01024037482) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N18 კორპუსში მის საკუთრებაში არსებული ფართი (ს/კ: 01.10.14.029.002.02.027) მიმდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.14.029.026) იჯარით გადაცემა, არსებული კიბის ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, იჯარით იყო გაცემული ზემოხსენებული ფართის (ს/კ: 01.10.14.029.002.02.027) მაშინდელ მესაკუთრეზე - ოლღა კაპანაძეზე, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით, 2025 წლის 26 აპრილამდე.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

სააგენტოში წარმოდგენილი წერილით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის განმეორებითი იჯარით გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 28.04.2011წ. N01-4/101 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის

ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N18 კორპუსის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.029.026) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა გურგენიძისთვის (პ/ნ 01024037482) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „მისამართზე - ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. 4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა ნინო ვარდოსანიძემ.

ნინო ვარდოსანიძის მოხსენებით, „მისამართზე - ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. 4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4), 2004 წელს მურთაზ გვიდიანმა დაიწყო მაცხოვრებელთა სახლების დანგრევა და მარავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნულ პიროვნება სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე. არ ქონდა აღებული მშენებლობის ნებართვები. ამას დაერთო ისიც, რომ მის მიერ ხდებოდა ერთი ბინის რამდენჯერმე გადაყიდვა. ეს პიროვნება დღეს მიცემულია პასუხისმგებში თაღლითობისათვის. ამეტაპზე სასამართლოში დასრულდა ზეპირი განხილვები სხვადასხვა პირების კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე და ელოდებიან განაჩენის გამოტანას.

მთავარი სირთულე „მისამართზე - ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. 4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4), არის ის რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა ნებართვების გარეშე, რის გამოც აღნიშნული ობიექტი ვერ აკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. დღეის მდგომარეობით უკვე აშენებულია 9 სართულზე მეტი და ცხოვრობს 20 ოჯახი. გამომდინარე იქედან, რომ ობიექტი ჯერ კიდევ დასურულებელია, შენობის მდგრადობას შესაძლოა შეექმნას საფრთხე და ავარიულად საშიში გახდეს. ასევე ღიაა ლიფტის შახტები, სადაც უკვე იყო ადამიანის ვარდნის ფაქტები. ობიექტი 20 წელია დაუსრულებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებას ელოდება 200 მდე ოჯახი. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-11 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-12 პუნქტისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სვანიძის 4/6-ის“ წევრების N19/03252612-03 განცხადების საფუძველზე, მიზანშეწონილია მშენებლობას მიენიჭოს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა - პასუხის რეჟიმში.

კითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-7

გადაწყდა: „მისამართზე - ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. 4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: მისამართზე - ქ. თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ: N01.10.13.010.089) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

წინო ვარდოსანიძის მოხსენებით, თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ: N01.10.13.010.089) მდებარე საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, რომლის მშენებელ კომპანიას წარმოადგენდა შპს „სექტორი 1“(ს/კ 405282215) (ყოფილი შპს „დემაქს გოთუა“), რომელმაც ბინათმესაკუთრეთა წინაშე აიღო ვალდებულება სამშენებლო პროცესის დასრულებაზე. თუმცა მობინადრეების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხა თაღლითურად მიითვისა კომპანიის დირექტორმა. საქმე მიმდინარეობს სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში. 67 ოჯახი დარჩა საცხოვრებელი ბინის გარეშე. მოქალაქეები საცხოვრებელი ფართების დასაკმაყოფილებლად ითხოვენ აღნიშნული მშენებლობისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭებას, რომ შემდგომში ინვესტორის მოზიდვის მიზნით განხორციელდეს სამშენებლო ობიექტზე პრევენციების მინიჭება

მომხრე-7

გადაწყდა: მისამართზე - ქ. თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ: N01.10.13.010.089) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ: N01.17.12.003.255) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

წინო ვარდოსანიძის მოხსენებით, თბილისის მერიამ, „ცენტროპონტის“ მიერ დაზარალებული ხალხის საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების შესახებ, მემორანდუმი გააფორმა შპს „მეტი დეველოპმენტთან“. აქედან გამომდინარე ხალხმა ნდობა გამოუცხადა აღნიშნულ კომპანიას და ბინების შეიძინეს თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ: N01.17.12.003.255). კომპანიამ იკისრა აღნიშნულ მისამართზე კორპუსის აშენება, რისი ნებრთვაც მერიიდან აღებული არ ქონდა. მაგრამ დირექტორმა მობინადრეების მიერ შეტანილი თანხა გაფლანგა და მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. აშენებულია მხოლოდ საძირკველი. დაზარალდა 250 ოჯახი.

მოქალაქეები განცხადებით ითხოვენ კორპუსისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭებას.

მომხრე-7

გადაწყდა: მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ: N01.17.12.003.255) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ლევან არველაძე